# ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში, ფაზა II (USAID WMTR II)

## განაცხადების მოთხოვნის ფორმა RFA #19-005

გამოცხადების თარიღი: **01.05.2019**

USAID-ის WMTR II *პროგრამა,* რომელსაც ახორციელებს CENN, აცხადებს ქვეგრანტს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისაგან განაცხადების მიღებას **მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისა და სეპარირებული შეგროვების (პლასტმასა, ქაღალდი, შუშა, ალუმინის ქილა) საკითხებზე.** ქვე-გრანტები გაიცემა და შესაბამისი პროექტები განხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აშშ–ის მთავრობისა და CENN /WMTR II-ის რეგულაციებისა და გრანტების მართვის პოლიტიკისა და შიდა პროცედურების შესაბამისად.

აღნიშნული განაცხადების მიღების ფარგლებში USAID WMTR II პროგრამა ჩაატარებს პირველად საინფორმაციო შეხვედრებს შემდეგი განრიგით:

- **თბილისი,** CENN, სალმის ქ. N 15 - 14 მაისი, 12:00
- **თელავი,** დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, ვაჟა ფშაველას ქ. N 3 - 15 მაისი, 12:00
- **გორი,** დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, იერუშალაიმის ქ. N 18 - 16 მაისი, 11:00
- **ბათუმი,** დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, ფარნავაზ მეფის ქ. N 62/64 - 20 მაისი, 16:00

შემდგომი საკონსულტაციო შეხვედრა შედგება **31 მაისს, 12 საათზე** CENN-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სალმის ქ. N 15.

საკონსულტაციო შეხვედრაზე დაინტერესებულ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა, დასვან კითხვები და მიიღონ მითითებები, თუ როგორ შეავსონ განაცხადის ფორმა.

დაინტერესებულმა პირებმა, რომლებსაც სექცია **IIIA** თანახმად უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საგრანტო კონკურსში და სურთ დაესწრონ საკონსულტაციო შეხვედრას, უნდა დაადასტურონ მონაწილეობა **სულ მცირე 2 დღით ადრე** და გამოაგზავნონ მონაწილის სახელი, გვარი და ორგანიზაციის დასახელება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: shorena.ebanoidze@cenn.org**.** ერთი ორგანიზაციიდან სამუშაო შეხვედრას შეიძლება დაესწროს ორგანიზაციის მაქსიმუმ ორი წარმომადგენელი (თუ დამსწრე პირს განსაკუთრებული საჭიროებები აქვს გთხოვთ, მიუთითოთ მონაწილეობის დადასტურებისას, რომ პროგრამამ ხელი შეუწყოს აღნიშნული პირის საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობას).

საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები არ ანაზღაურდება.

**1 მაისიდან 7 ივნისის 18:00** სთ-ს ჩათვლით ასევე შესაძლებელი იქნება კონსულტაციების მიღება ელფოსტით.

განაცხადების ჩაბარება უნდა მოხდეს არაუგვიანეს **14 ივნისის 18:00 სთ.** დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები[1] არ განიხილება.

USAID WMTR II პროგრამისა და CENN-ის თანამშრომლებს ეკრძალებათ მოითხოვონ, ხოლო აპლიკანტებს ეკრძალებათ მათ შესთავაზონ ფულადი და არაფულადი საჩუქარი, ღირებული ნივთი ან კომპენსაცია, რათა მოიპოვონ ან გასცენ არასათანადო კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საგრანტო განაცხადთან დაკავშირებით. პროგრამის თანამშრომლისგან ასეთი არასათანადო მოთხოვნის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პროექტის ხელმძღვანელს, ქ-ნ ნინო შავგულიძეს, ელ. ფოსტის მისამართზე: nino.shavgulidze@cenn.org.

განაცხადების მოთხოვნის ფორმასთან ერთად, აღნიშნულ განაცხადს თან ახლავს შემდეგი დანართები:

**დანართი 1** – ქვეგრანტის განაცხადის ფორმა

**დანართი 2** – ქვეგრანტის შევსების ინსტრუქცია

**დანართი 3** – ქვეგრანტის განხორციელების გეგმის შესრულების დროითი ვადები

**დანართი 4** – ქვეგრანტის მონიტორინგის, შეფასების ინდიკატორებისა და შედეგების ფორმა

**დანართი 5** – ქვეგრანტის დეტალური ბიუჯეტის ფორმა (Excel)

## სექცია I. ქვეგრანტის აღწერილობა

**IA. მიზანი:** *ნარჩენების მართვის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, მყარი ნარჩენების წარმოქმნის შემცირების და სეპარირებული შეგროვების (პლასტმასა, ქაღალდი, შუშა, ალუმინის ქილა) საკითხების პოპულარიზაციის და შესაბამისი სისტემების აწყობის გზით.*

USAID WMTR II პროგრამა ქვეგრანტ(ებ)ს გასცემს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე, რომლებიც განახორციელებენ *მყარი ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისა და სეპარირებული შეგროვების (პლასტმასა, ქაღალდი, შუშა, ალუმინის ქილა) პოპულარიზაციისა და ასეთი მიდგომების დანერგვისაკენ მიმართულ საქმიანობებს.*

ქვეგრანტის ფარგლებში მოხდება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამიზნე რეგიონების მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირებისა და სეპარირების მნიშვნელობაზე, ასევე, შესთავაზებენ ბენეფიციარებს კონკრეტულ სისტემებს აღნიშნული საკითხების განსახორციელებლად და ხელს შეუწყობენ ამ მიდგომების დანერგვას.

**IB. ინფორმაცია USAID WMTR II პროგრამის შესახებ**

პროგრამას ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში, ფაზა II (WMTR II) ახორციელებს CENN, აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

USAID WMTR II პროგრამა საქართველოს მთავრობას ეხმარება ქვეყნის ნარჩენების მართვის სექტორის მოდერნიზებაში და მხარს უჭერს მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიან მართვას,

[1] შეუსაბამოა განაცხადი, რომელიც არ იქნება შევსებული **# RFA #18-005**-ის აპლიკაციის ფორმაში და არ ექნება თანდართული განაცხადით მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია

რაც მინიმუმამდე დაიყვანს ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ რესურსებზე ნარჩენების მიერ მიყენებულ ზიანს.

**პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:**

- ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის განხორციელება;
- ნარჩენების გადამამუშავებელი კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა;
- ნარჩენების უკანონო განთავსების ჯარიმების სისტემისა და სატარიფო პოლიტიკის განხორციელების გაუმჯობესება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**IC. ქვეგრანტის დეტალური აღწერილობა**

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მე-5 მიზანი ქვეყანაში ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა ან/და აღდგენის ხელშეწყობას და შესაბამისი სისტემების დანერგვას ემსახურება. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები ასევე მოიცავს კონკრეტულ ინდიკატორებს, გამოსახულს რიცხვებში, რომელთა მიღწევაც ქვეყნის ვალდებულებაა. ამავდროულად, საქართველოს კანონის - ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, 2019 წლის თებერვლიდან მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

USAID WMTR II პროგრამა ხელს უწყობს ნარჩენების მართვის სექტორის მოდერნიზებას, სამიზნე რეგიონებში ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების - პრევენცია/შემცირება, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა - დანერგვით, რომლებიც ამცირებენ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით ზემოქმედებას და განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ამისათვის, წინამდებარე ქვეგრანტის განაცხადის ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს საშუალება ეძლევათ, წარმოადგინონ საპროექტო წინადადებები მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისა და სეპარირებული შეგროვების (პლასტმასა, ქაღალდი, შუშა, ალუმინის ქილა) პოპულარიზაციისა და ასეთი სისტემების დანერგვისაკენ მიმართულ საქმიანობებზე. სავალდებულოა, რომ საქმიანობები განხორციელდეს USAID WMTR II პროგრამის სამიზნე რეგიონ(ებ)ში - ქალაქი თბილისი, კახეთი, შიდა ქართლი, აჭარის არ. (შესაძლოა შეირჩეს ერთი, ორი, სამი, ან ყველა რეგიონი/მუნიციპალიტეტი ერთად).

აპლიკანტის მიერ საპროექტო განაცხადში წარმოდგენილმა აქტივობებმა ხელი უნდა შეუწყოს შერჩეული სამიზნე რეგიონის/ების მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას მყარი ნარჩენების შემცირების და სეპარირებული შეგროვების მნიშვნელობაზე, ასევე წარმოადგინოს პილოტური აქტივობები აღნიშნული საკითხების განსახორციელებლად და დასანერგად. მაგალითად, ნარჩენების წარმოქმნის შემცირებაზე მიმართული აქტივობები შესაძლოა მოიცავდეს სამიზნე ჯგუფების სემინარებს, ტრენინგებს, კონკურსებს და ამავდროულად შერჩეულ ინსტიტუცია(ებ)ში უნდა მოხდეს ამ მიდგომის დანერგვა: მაგ. უარის თქმა პლასტმასის ნივთების გამოყენებაზე, ქაღალდის მოხმარების შემცირება, ა.შ. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვის შემთხვევაში, ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებთან ერთად, აპლიკანტმა საპროექტო წინადადებაში უნდა ჩამოთვალოს ის ინსტიტუციები, სადაც მოხდება ნარჩენების სეპარირება, ასევე, განსაზღვროს კომპანია, რომელიც გაიტანს დახარისხებულ ნარჩენს შემდგომი გადამუშავების მიზნით. შესაძლოა

მოხდეს ნარჩენის მხოლოდ ერთი (მაგალითად მხოლოდ ქაღალდი, ან პლასტმასა, ან შუშა ან ალუმინი), ორი, სამი ან ყველა ნაკადის ნარჩენის დახარისხება. მნიშვნელოვანია, რომ მიღწეული შედეგები იყოს გაზომვადი, ხოლო თავად აქტივობები მდგრადი. სავალდებულოა, რომ აპლიკანტმა წარმოადგინოს აქტივობების მონიტორინგის გეგმა.

ასევე, სავალდებულო პირობაა, რომ აპლიკანტი ორგანიზაციები დარეგისტრირებულები იყვნენ/ოპერირებდნენ USAID WMTR II პროგრამის სამიზნე რეგიონებში - აჭარა, შიდა ქართლი, კახეთი და ქალაქი თბილისი. ორგანიზაციებს, რომლებიც დარეგისტრირებულები არიან და ოპერირებენ სხვა რეგიონებში, საშუალება ექნებათ, წარადგინონ საგრანტო განაცხადი იმ პირობით, რომ ისინი ქვეგრანტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს პროგრამის სამიზნე რეგიონებში განახორციელებენ . ამ შემთხვევაში, აპლიკანტმა, განაცხადში უნდა წარადგინოს ამის ნათელი დადასტურება.

აპლიკანტის საპროექტო წინადადება, ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგი შედეგების მიღებაზე:

- სამიზნე ჯგუფების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ნარჩენების წარმოქმნის შემცირების და სეპარაციის შესახებ;
- ნარჩენების წარმოქმნის რაოდენობის შემცირება შერჩეულ ინსტიტუციებში;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა შერჩეულ ინტიტუციებში/თემში;
- სამიზნე ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფა ნარჩენების სეპარირების პროცესში;
- სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების რაოდენობის ზრდა.

მნიშვნელოვანია, რომ შედეგები იყოს გაზომვადი/გამოსახული რიცხვებში და მდგრადი.

**ID. უფლებამოსილება/მაკონტროლებელი რეგულაციები**

USAID WMTR II *პროგრამის* ქვეგრანტები გაიცემა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) უფლებამოსილებით და უნდა შეესაბამებოდეს USAID-ის სტანდარტულ დებულებებში და ასევე, USAID WMTR II *პროგრამის* ქვეგრანტების სახელმძღვანელოში წარმოდგენილ წესებს. ამას გარდა, აპლიკანტებმა უნდა დაიცვან ხარჯების მართვის პრინციპები, რომლებიც მითითებულია შემდეგ დოკუმენტებში:

- 2 CFR 200 Uniform Administrative Requirements, Cost Principles, and Audit Requirements for Federal Awards, Subpart E
- 2 CFR 200-ის სრული ტექსტი იხილეთ: http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200_main_02.tpl და 2 CFR 700: http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?SID=531ffcc47b660d86ca8bbc5a64eed128&mc=true&node=pt2.1.700&rgn=div5.

USAID WMTR II პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ USAID-ის ქვეგრანტის მიმღები ყველა ორგანიზაცია შეესებამებოდეს ზემოაღნიშნულ რეგულაციებში მოცემულ მითითებებსა და ქვეგრანტის შესაბამის წესებსა და პირობებს.

USAID WMTR II პროგრამის ქვეგრანტის ფარგლებში, USAID იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ქვეგრანტის განხორციელების უფლებამოსილება.

**სექცია II. ინფორმაცია ქვეგრანტის გაცემის შესახებ**

USAID WMTR II პროგრამის მიერ გაცემული ერთი ქვეგრანტის მაქსიმალური თანხა ***შეადგენს 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.***

ქვეგრანტი იქნება ფიქსირებული თანხის ტიპის, რომლის ფარგლებში ქვეგრანტის მიმღები შეასრულებს თავის სამუშაოს გაზომვადი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ქვეგრანტის ხელშეკრულებით წინასწარ გაწერილი საქმიანობების/მაილსტოუნების მიხედვით.

საბოლოო თანხა დამოკიდებული იქნება ქვეგრანტით გათვალისწინებულ აქტივობებზე და საბოლოო მოლაპარაკებებზე და შეიძლება იყოს ზემოაღნიშნულ ზღვრულ თანხაზე დაბალი.

ქვეგრანტის მიმღები დღგ-ს გადამხდელი ორგანიზაცია პროექტის ფარგლებში განთავისუფლებული იქნება დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

ქვეგრანტის ხანგრძლივობა მოცემული შეთავაზების ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს ***6 თვეს.***

**სექცია III. შესაბამისობა**

**IIIA. ვის შეუძლია ქვე-გრანტის მიღება.** აპლიკანტი უნდა იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, დარეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ.

- უპირატესობა მიენიჭება ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ნარჩენების მართვის სფეროში პროექტების განხორციელების გამოცდილება.
- აპლიკანტებს აქვთ უფლება წარადგინონ მხოლოდ ერთი განაცხადი.
- აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ წარსულში წარმატებით განხორციელებული პროექტი(ები)ს ჩამონათვალი, რომელიც დაკავშირებულია USAID WMTR II პროგრამის საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროებთან.
- აპლიკანტებმა უნდა აღწერონ, თუ როგორ განახორციელებენ საქმიანობის პოპულარიზაციას სამიზნე ჯგუფებში/ბენეფიციარებში/პარტნიორებთან.
- განაცხადში აპლიკანტებმა უნდა აჩვენონ გამართული ფინანსური, ადმინისტრაციული და ტექნიკური სისტემის არსებობა შესაბამისი პროცედურების სახით, ასევე შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც იცავს აქტივებს თაღლითობისგან, გაფლანგვისგან და ბოროტად გამოყენებისგან და ხელს უწყობს ქვეგრანტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას. **USAID WMTR II პროგრამა ქვეგრანტის მინიჭებამდე ჩაატარებს შერჩეული ორგანიზაცი(ებ)ის შესაბამისობის შეფასებას.**
- აპლიკანტებმა განაცხადში უნდა გაითვალისწინონ ქვეგრანტის განაცხადით მოთხოვნილი თანხის **მინიმუმ 20% ფულადი და/ან არაფულადი თანამონაწილეობა**. თანამონაწილეობა ნიშნავს პროექტთან დაკავშირებული ხარჯების წილს, რომელიც არაა გაღებული ამერიკის მთავრობისგან და, შესაბამისად, ფინანსდება აპლიკანტის მიერ. აპლიკანტმა უნდა მიუთითოს დეტალურ ბიუჯეტში და აპლიკაციის ბიუჯეტის თხრობით ნაწილში ქვეგრანტის განხორციელების პერიოდში თანამონაწილეობაში დასახარჯი რესურსების რაოდენობა, ასეთი რესურსების წყაროები და მათი გამოთვლის მეთოდი.

- აპლიკანტი ვალდებული იქნება, ხელი მოაწეროს ქვემოთ წარმოდგენილ სერტიფიკატებს უშუალოდ ქვეგრანტის მიღებამდე, ქვეგრანტის დამტკიცების შემთხვევაში:
  - *„ორგანიზაციის მიერ ვადაგადაცილებული გადასახადით გამოწვეულ პასუხისმგებლობასთან ან ნასამართლეობასთან დაკავშირებით ორგანიზაციის წარმომადგენლობის“ სერტიფიკატი (AAPD 14-03, 2014 წლის აგვისტო)”*
  - *ფედერალური დახმარების გაწევის აკრძალვა ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომლებზეც ვრცელდება გარკვეული საიდუმლო ინფორმაციის გაუხმაურებლობის შესახებ შეთანხმებები (2015 წლის აპრილის ვერსია)*
- USAID WMTR II პროგრამა დაეხმარება წარმატებულ ქვეგრანტის მაძიებელს მარკირებისა და ბრენდირების გეგმის შემუშავებაში, რომელიც დაერთვება ქვეგრანტის ხელშეკრულებას.

## სექცია IV – ინფორმაცია განაცხადის წარდგენის შესახებ

### IVA. ინსტრუქციები აპლიკანტებს

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ზემოთ აღწერილი ქვეგრანტის განხორციელების სტრატეგია, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ინოვაციებს დანერგავენ ქვეგრანტის ფარგლებში.

### IVA1. ქვეგრანტის განაცხადი

აპლიკაციის შემუშავებისას გამოსაყენებელი შაბლონები მოცემულია დანართში A-B. აპლიკანტებმა მოცემული ფორმატით უნდა წარმოადგინონ თავიანთი ტექნიკური განაცხადი, ასევე ბიუჯეტი და უნდა მიჰყვნენ აღნიშნულ დანართებში მოცემულ ინსტრუქციებსა და მითითებებს.

ქვეგრანტის აქტივობის ყველა ხარჯი უნდა იყოს აპლიკანტის ჩვეული სამოქმედო პრაქტიკის ნაწილი და უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის გაწერილ პოლიტიკასა და პროცედურებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განაცხადს ხელს უნდა აწერდეს აპლიკანტის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

### IVA2. დაუშვებელი ხარჯები

არ შეიძლება USAID WMTR II პროგრამის ქვეგრანტის სახსრების შემდეგი მიზნებისთვის გამოყენება:

- ნებისმიერი სახის სამშენებლო და/ან სარემონტო აქტივობები;
- ცერემონიებთან, წვეულებებთან, აღნიშვნებთან დაკავშირებული ხარჯები;
- წარმომადგენლობითი ხარჯები;
- აკრძალული საქონელი (მათ შორის USAID-ის რეგულაციებით აკრძალული საქონელი), რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება: აბორტის ჩასატარებლად გამოსაყენებელი აღჭურვილობით და მომსახურებით, ფუფუნების საგნებით და ა.შ.;
- ალკოჰოლური სასმელები;
- ისეთი შესყიდვა ან აქტივობა, რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი;
- ისეთი შესყიდვები ან აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც USAID WMTR II პროგრამა ქვეგრანტის მიზნებისთვის აუცილებლად ვერ ჩათვლის;

- ქვეგრანტის მაძიებელზე წარსულში დაკისრებული ვალები, ჯარიმები, საურავები და/ან მათთან დაკავშირებული ვალდებულებები.
- ფულადი შეწირულობის გაკეთება;
- იმ საქონლის ან მომსახურების შეძენა, რომელთა მომწოდებელი/მწარმოებელი ქვეყანა მოქცეულია USAID-ის აკრძალული ქვეყნების ჩამონათვალში; https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1876/310.pdf
- შეზღუდულია USAID WMTR II პროგრამის წინასწარი თანხმობის გარეშე, ისეთი საქონლის შესყიდვა, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო საქონელი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები (მოტოციკლების ჩათვლით), ფარმაცევტული ნაწარმი, სამედიცინო აპარატურა, კონტრაცეპტული საშუალებები, მეორადი აპარატურა, პესტიციდები და სასუქები (იხილეთ ADS Chapter 312 Eligibility of Commodities).

**IVB. ინფორმაცია განაცხადის წარდგენის შესახებ**

საგრანტო განაცხადის ჩაბარება უნდა მოხდეს ქართულ ენაზე და არ უნდა აღემატებოდეს **20 გვერდს**.

აპლიკაციის (ტექნიკური შემოთავაზება, ბიუჯეტი და დამხმარე დოკუმენტაცია) ჩაბარება შესაძლებელია ელექტრონული ან ბეჭდვითი ფორმით ქვემოთ მოცემულ მისამართებზე. ელექტრონულად გამოგზავნის შემთვევაში სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს ქვეგრანტის განაცხადის ნომერი **RFA #19-005**.

განაცხადების ჩაბარება უნდა მოხდეს არაუგვიანეს **14 ივნისის 18:00 სთ.** დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები[2] არ განიხილება.

| | |
|---|---|
| ***პროგრამის დასახელება:*** | *ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში, ფაზა II (USAID WMTR II)* |
| ***მისამართი:*** | *საქართველო,*<br>*ქ. თბილისი, 0105*<br>*ბეთლემის ქუჩა #27* |
| ***ელექტრონული ფოსტა:*** | *shorena.ebanoidze@cenn.org* |

**შევსებული აპლიკაციის ფორმისა და შესაბამისი დანართების** გარდა, აპლიკანტებმა USAID WMTR II პროგრამას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- **განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;**
- **აუდიტორის მიერ შემოწმებული აპლიკანტის ბოლო ფინანსური ანგარიშგების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

წინამდებარე შეთავაზებასთან დაკავშირებული ყველა კითხვა გაუგზავნეთ შორენა ებანოიძეს, USAID WMTR II პროგრამის გრანტებისა და ფინანსების მენეჯერს, ელექტრონულ ფოსტის მისამართზე shorena.ebanoidze@cenn.org.

USAID WMTR II პროგრამა აპლიკანტებს დაეხმარება განაცხადის წარდგენის პროცედურების გაგებაში და აპლიკანტების მოთხოვნით, კონსულტაციას გაუწევს განაცხადის შემუშავების პროცესში.

[2] შეუსაბამოა განაცხადი, რომელიც არ იქნება შევსებული # **RFA #18-002**-ის აპლიკაციის ფორმაში და არ ექნება თანდართული განაცხადით მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია

**სექცია V. აპლიკაციის შეფასების კრიტერიუმები**

განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| **შესაფასებელი კატეგორია** | **რეიტინგი (ქულები)** |
|---|---|
| ქვეგრანტის მიზანშეწონილობა და ტექნიკური მიდგომა | 30 |
| გავლენა სამიზნე ჯგუფებზე და ბენეფიციარებზე | 15 |
| მენეჯმენტის და პროგრამული შესაძლებლობები | 15 |
| მდგრადობა/ ფინანსური დამოუკიდებლობა | 15 |
| ბიუჯეტის ეფექტიანობა (იგულისხმება USAID WMTR II პროგრამიდან მოთხვნილი თანხა და თანამონაწილეობა) | 10 |
| წარსული გამოცდილება | 10 |
| გენდერული ბალანსი | 5 |
| **ჯამური რეიტინგი (მაქსიმუმი - 100 ქულა)** | **100** |

ქვემოთ დეტალურადაა აღწერილი შეფასების კრიტერიუმების ელემენტები.

A. ***ქვეგრანტის მიზანშეწონილება და ტექნიკური მიდგომა.*** განაცხადის ხარისხი და განხორციელებადობა შემოთავაზებული ტექნიკური მიდგომის სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით (ანუ არსებობს იმის ვარაუდის გონივრული საფუძველი, რომ შემოთავაზებულმა ტექნიკურმა მიდგომამ შეიძლება მოსალოდნელი შედეგები მოიტანოს), შემოთავაზებული მეთოდოლოგიის შესაბამისობა, ინოვაციურობა და პროგრამის მიზნების მიღწევის სამუშაო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიის გაძლიერებას და, შესაბამისად, წვლილს შეიტანს ნარჩენების მართვის სექტორის განვითარებაში. ტექნიკურ მიდგომას უშუალო წვლილი უნდა შეჰქონდეს USAID WMTR II პროგრამის მოსალოდნელი შედეგების მიღწევაში და სამუშაოს შესრულებაში და უნდა იყოს გაზომვადი. სხვადასხვა მიდგომის შეფასებისას ყურადღება მიექცევა იმას, თუ რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა ეს მიდგომა წარსულში, ან თუ ახალ მიდგომასთან გვაქვს საქმე, რამდენად იმედის მომცემია აღნიშნული მიდგომა. ასევე შეფასდება ქვეგრანტის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ობიექტურად გაზომვადი ინდიკატორებით. **30 ქულა**

B. ***გავლენა სამიზნე ჯგუფებზე და ბენეფიციარებზე.*** შეფასდება, თუ რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული პროექტი სამიზნე ჯგუფ(ებ)ის და ბენეფიციარების / რეგიონის საჭიროებებს და რამდენად სასარგებლო იქნება უშუალოდ მათთვის. გარდა ამისა, ის, თუ რამდენად მოახდენს იგი სხვა ორგანიზაციებისა და რესურსების პირდაპირ ან არაპირდაპირ სტიმულირებას USAID WMTR II პროგრამის მხარდამჭერი აქტივობების რეპლიკაციის, შემუშავებისა და განხორციელების კუთხით. **15 ქულა**

C. ***მენეჯერული და პროგრამული შესაძლებლობები.*** იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ გრანტის მაძიებელი შეძლებს განახორციელოს შემოთავაზებული აქტივობები და ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის სექტორის განვითარებას. განაცხადი უნდა ასახავდეს აპლიკანტი ორგანიზაციის ეფექტიანობას შიდა სტრუქტურის, ტექნიკური შესაძლებლობების და წამყვანი პერსონალის მხრივ. ამასთან, ორგანიზაცია უნდა ახდენდეს ფინანსური მართვის საკმარისი უნარის დემონსტრირებას. შეფასება ძირითადად დაეყრდნობა წამყვანი პერსონალის გამოცდილებას, კვალიფიკაციას, რეპუტაციას, შესაბამისობას, უნარებს და მიღწევებს (მათ შორის, მდგრად აქტივობებს). **15 ქულა**

D. ***მდგრადობა/ფინანსური დამოუკიდებლობა.*** ის, თუ რამდენად არის აქტივობა მდგრადი, ან ხელს თუ შეუწყობს კომპანიის მდგრადობის გაზრდას. **15 ქულა**

E. ***ბიუჯეტის ეფექტიანობა (იგულისხმება USAID WMTR II პროგრამიდან მოთხვნილი თანხა და თანამონაწილეობა).*** ის, თუ რამდენად ზუსტი და გონივრულია ბიუჯეტი და რამდენად ასახავს კომპანიისა და ქვეგრანტის რესურსების ოპტიმალურ მოხმარებას. თანამონაწილეობა სასურველია და უპირატესობას მისცემს აპლიკანტს. **10 ქულა**

F. ***წარსული გამოცდილება.*** წარსული ან მიმდინარე გამოცდილება მსგავსი აქტივობების განხორციელებაში. ამით ფასდება აპლიკანტის მიერ განხორციელებული პროექტები და გამოცდილება, რომელიც ორგანიზაციის მიერ აქტივობის განხორციელების უნარის შეფასებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. **10 ქულა**

G. ***გენდერული ბალანსი.*** ის, თუ რამდენად არის დაცული გენდერული ბალანსი ქვე-გრანტის განხორციელებისას, ან რას გეგმავს კომპანია ქალების ჩართულობის კუთხით. **5 ქულა**

**სექცია VI. ინფორმაცია გრანტის გაცემისა და ადმინისტრირების შესახებ**

ყველა ქვეგრანტი დაფინანსდება ადგილობრივ ვალუტაში - ლარში.

ქვეგრანტის მიერ დაფინანსებული ყველა ხარჯი უნდა იყოს ნებადართული, საქმიანობასთან დაკავშირებული და დასაბუთებული. ქვეგრანტის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დეტალური და რეალისტური ბიუჯეტი, როგორც ეს აღწერილია მე-IV სექციაში.

წინამდებარე განაცხადის მოთხოვნის ფორმის გამოქვეყნება და განაცხადის შემუშავებაში დახმარების გაწევა არ წარმოადგენს USAID WMTR II პროგრამის მხრიდან გრანტის მიღებას ან რაიმე დაპირებას, ან ვალდებულებას დაფაროს განაცხადის მომზადებასა და ჩაბარებისას გაწეული ხარჯები. გარდა ამისა, USAID WMTR II პროგრამა იტოვებს უფლებას, მოიწონოს ან უარი თქვას ნებისმიერ შემოტანილ განაცხადზე. ასევე, იტოვებს უფლებას, მოითხოვოს განაცხადის შემომტანებისგან შემდგომი განმარტებები და დამატებითი დოკუმენტები. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ აპლიკანტებს წერილობით აცნობებენ მათ მიერ შემოტანილ განაცხადთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.

**დანართების ჩამონათვალი:**

**დანართი 1** – ქვეგრანტის განაცხადის ფორმა

**დანართი 2** – ქვეგრანტის შევსების ინსტრუქცია

**დანართი 3** – ქვეგრანტის განხორციელების გეგმის შესრულების დროითი ვადები

**დანართი 4** – ქვეგრანტის მონიტორინგის, შეფასების ინდიკატორებისა და შედეგების ფორმა

**დანართი 5** –ქვეგრანტის დეტალური ბიუჯეტის ფორმა (Excel)